

მასწავლებლების, მანდატურების და პოლიციის შეხედულებები ბავშვთა
მიმართ ძალადობაში - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

მაია ციპლუგინა-ოქონაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი _ შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება მასწავლებლების, მანდატურების, პოლიციის შეხედულებების გააზრებას ბავშვთა მიმართ ძალადობის ჭრილში. ხაზგასმულია მათი მოსაზრებების მნიშვნელობა საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის ჩამოყალიბებაში. ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა თვისობრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მასწავლებლების, მანდატურების, პოლიციის არსებული ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია საკითხიდან გამომდინარე იმ დამოკიდებულებებზე, რაც საფუძვლად უდევს ბავშვის აღზრდის გავრცელებულ მეთოდებს და თავს იჩენს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მასზე რეაგირებას პრაქტიკაში. კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლის მასწავლებელთა ჯგუფი. ასევე საჯარო სკოლების მანდატურთა ჯგუფი და ბავშვებთან მომუშავე პოლიციელები.

ჩემი დაინტერესება ამ თემის მიმართ გამოიწვია გამოცდილებამ და პრაქტიკამ, რომ საკუთარი მუნიციპალიტეტის ფონზე დამენახა ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების შეხედულებები და დამოკიდებულებები ძალადობის მიმართ. მსურს ამაღლდეს საზოგადოების ნდობა ბავშვთა დაცვის მექანიზმის მიმართ და თუ საჭიროება მოითხოვს, გაუმჯობესდეს სპეციალისტების, მასწავლებლების, მანდატურების და პოლიციელების მომზადების დონე.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვთა დაცვის რეფორმა რეგიონებში შედარების ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ საჭიროა ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად ძალადობის იდენტიფიკაციის, ძალადობის ამოცნობის პროცედურებისა და ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის თავისებურებების შემსწავლელი ტრენინგების განხორციელება.